თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 7 მარტის სხდომის ოქმი N 4.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 7 მარტს 13.00 საათზე, 206 აუდიტორიაში შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 38 წევრი.

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 23 წევრი.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამოცხადებული 2019 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგების შესახებ;
/ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ;
/ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება;

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ;
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---23;

წინააღმდეგი---0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 7 მარტის N4 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამოცხადებული 2019 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო და დასამტკიცებლად წარუდგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 06 თებერვლის #26/29-01 ბრძანებით გამოცხადებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები. სხდომის ოქმი (ოქმი #2 28.02.2019).

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილიობის მიზნით შემოტანილი იყო რვა განაცხადი: ეკონომიკის მიმართულებით- სამი პროექტი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით - ხუთი პროექტი.

ეკონომიკის მიმართულებით წარმოდგენილ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესაფასებლად მოწვეულ იყო აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.

შეფასების ელექტრონული ვარიანტი კომისიამ განიხილა როგორც რეკომენდაცია და დაეთანხმა წარმოდგენილ დასკვნებს.

კომისიის თითოეულმა წევრმა ყოველ პროექტს კენჭი უყარა ინდივიდუალურად.

ჩატარებულ ღია კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა.

ღია კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

1. „ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“ - ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა, პროექტის

ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი - მიღებული ხმების რაოდენობა 7.

2. „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გავლენა საქართველოს სავაჭრო-

საინვესტიციო ურთიერთობებზე“ -საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე- მიღებული ხმების რაოდენობა 7.

3. „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“-

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი მერაბ ხმალაძე - მიღებული ხმების რაოდენობა 7

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ეკონომიკის მიმართულებით გამოიყოფილი თანხა განაწილდა და წარმოდგენილი პროექტები დაფინანსდეს:

ა)„ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“ - ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი რევაზ გველესიანი - 5500 ლარით;

ბ) „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გავლენა საქართველოს სავაჭრო-

საინვესტიციო ურთიერთობებზე“ -საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე - 5000 ლარით;

გ)„საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“-

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი სიმონ გელაშვილი -4500 ლარით;

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით წარმოდგენილ მიზნობრივი სამეცნიერო- კვლევითი პროექტების შესაფასებლად მოწვეულ იყო პროფესორი იოსებ ხელაშვილი. რომელმაც თავისი მოსაზრებები ელექტრონული სახით გადმოუგზავა კომისიას (კომისიის თავმჯდომარემ წაიკითხა ხელაშვილის შეფასებები). კომისიისთითოეული წევრი ყოველ პროექტს კენჭს უყრის ინდივიდუალურად. ჩატარებულ ღია კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა.

1. „უნივერსიტეტის იმიჯის გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებასა და

ლოიალობაზე(თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)“

მარკეტინგის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ

თოდუა- მიღებული ხმების რაოდენობა 7;

2. „აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და მათი საქმიანობის რეგულირების კვლევა“- მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე - მიღებული ხმების რაოდენობა 7;

3. „საქართველოში ბიზნესის განვითარების ინსტიტუციური პირობები და

ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებანი“ -

საერთაშორისო ბიზნესის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ შენგელია - მიღებული ხმების რაოდენობა 6;

4. „ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“ - ბუღალტრული აღრიხვისა და აუდიტის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე- მიღებული ხმების რაოდენობა 5

5. „დაგროვებითი საპენსიო მოდელის ანალიზი და საპენსიო აქტივების

მენეჯმენტის პრობლემები“ - მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა,

პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნარმანია - მიღებული ხმების

რაოდენობა 5;

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით გამოიყოფილი თანხა განაწილდეს და წარმოდგენილი პროექტები დაფინანსდეს:

ა) „უნივერსიტეტის იმიჯის გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალობაზე(თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)“ -

მარკეტინგის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი ნუგზარ თოდუა - 3500 ლარი;

ბ) „აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და მათი საქმიანობის რეგულირების კვლევა“- მენეჯმენტისა და ადმინისტრირების

კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე -3500 ლარი;

გ) „საქართველოში ბიზნესის განვითარების ინსტიტუციური პირობები და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებანი“ - საერთაშორისო ბიზნესის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი თემურ შენგელია- 3500 ლარი;

დ) „ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“ - ბუღალტრული აღრიხვისა და აუდიტის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე-3000 ლარი;

ე) „დაგროვებითი საპენსიო მოდელის ანალიზი და საპენსიო აქტივების მენეჯმენტის პრობლემები“ - მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნარმანია - 3000 ლარი.

აზრი გამოთქვე:სიმონ გელაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23

წინააღმდეგი -0.

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 06 თებერვლის #26/29-01 ბრძანებით გამოცხადებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა(აღნიშნული გეგმა საბჭოს ყველა წევრს დაეგზავნა ნინასწარ გასაცნობად)

აზრი არავის გამოუთქვამს:

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23,
წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა, მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს, მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა (წერილი №2773/10, 19.02.2019) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2009 წლის კურსდამთვრებულ ანტონ სტეპანოვის სახელზე დიპლომის დანართის მომზადება. როგორც წერილიდან ირკვევა, ანტონ სტეპანოვს 2009 წლის 27 ნოემბრის №2333/01-04 ბრძანების მიხედვით, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილებით მიანიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თუმცა. აღნიშნულ ოქმში მისი გვარი არ ფიქსირდება. საქმის შესწავლისას აუცილებელი გახდა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად ავთანდილ სულაბერიძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავადებულო მონაცემების შექმნა.

ანტონ სტეპანოვის სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას,

დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ანტონი სტეპანოვი** 2003 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ინფორმტიკა ბიზნესში სპეციალობაზე (ბრძანება №4/862, 26.08.2003). 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატს პროგრამის დასრულების მიზნით თვითდაფინანსებით მიეცა ადმიისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლება და შესააბამისად დარეგისტრირდა დამატებით XI და XII სემესტრის სტუდენტად (ბრძანებები №1097/01-04, 11.09.2008 და №543/01-04, 25.03.2009).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2333/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილების შესაბამისად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ანტონ სტეპანოვს მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა შესაბამისი დიპლომი *(საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №26922/02, 11.11.2009).*

2009-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №001648 (სარეგისტრაციო №01/400599) რეგისტრირებულის ანტონ სტეპაოვის სახელზე.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილთან ერთად წარმოადგინა არქივიდან მიღებული 2009 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №2);
- ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №3).

ვინაიდან, წარმოდგენილ ოქმების დანართებში არ იძებნება ანტონ სტეპანოვის გვარი, ამიტომ მიზანშეწონელია აღდგენილად ჩაითვალოს 2009 წლის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილაბაში არსებული ინფორმაცია. თსუ იურდიულ დეპერტამენტთან შეთანხმებით ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემანტება ასო „პ“.

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23,
წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დააგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ 2009 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მითებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესი და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთვრებულ ანტონი სტეპანოვის ბაკალავის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს *2009 წლის 27 ნოემბერი* და ნომრად *№2333/პ*.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსმა მ. ლობჟანიძემ, სა ბჭოს მოახსენა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო დებულების მე 6 მუხლის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების)შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1.ბიზნესის დმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მორჩილაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ინოვაციების მართვის პროცესში

გადაწყვეტილების მიღების გამოწვევები საქართველოს მსხვილი საწარმოების მაგალითზე (მომსახურების სფეროში).

(მეცნიერ-ლმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ:

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
2. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
3. პროფესორი დავით ნარმანია
4. პროფესორი სიმონ გელაშვილი
5. პროფესორი თემურ შენგელია
6. პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
7. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
8. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
9. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
10. ასოცირებული პროფესორი დავით ნიჟარაძე (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)
11. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი

2. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ კესო სუმბაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,კომუნიკაციური კავშირების გავლენა გადაწყვეტილებების ეფექტიანობაზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე

2. პროფესორი დავით ნარმანია

3. პროფესორი სიმონ გელაშვილი

4. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

5. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

6. ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი

7. ასოცირებული პროფესორი ნანული ოქრუაშვილი

8. ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

9. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

10. პროფესორი გოდერძი ტყეშელაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

11. პროფესორი გურამ ამყოლაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია აღლაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტი", (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა

2. პროფესორი დავით ნარმანია

3. პროფესორი დემურ სიჭინავა

4. პროფესორი თემურ შენგელია

5. პროფესორი თამთა მიქაბერიძე (სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო

უნივერსიტეტი)

6. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

7. ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

8. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე

9. ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი

10. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე

11. ასოცირებული პროფესორი მარინე თავართქილაძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტი)

12. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

13. ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი

4. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია ჯიბლაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პერსპექტივები საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით", (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე

2. პროფესორი თემურ შენგელია

3. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი)

4. ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

5. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

6. ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

7. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

8. ასისტენტ-პროფესორი მანანა ლობჟანიძე

9. ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯამაგიძე

5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ბონდო გასვიანის სადისერტაციო ნაშრომის: ,,საერთაშორისო ბიზნესის სამეწარმეო სტრუქტურების განვითარების ძირითადი მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში",(მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ შენგელია) სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებისა და დაცვის კომისიის დამტკიცების საკითხი:

შემფასებლები: იოსებ არჩვაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი)

ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი (თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

2. პროფესორი გიორგი ცააავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

3. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

4. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

5. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

6. ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი

7. ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი

8. ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში

9. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23, წინააღმდეგი არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ინფორმაცია, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, საბჭოს თავმჯდომარის, , პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია, რომ 2018-19 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა (გვარების დასახელებისაგან თავი შეიკავა) ლექციაზე ან სემინარზე (პრაქტიკულ მეცადინეობაზე), კონკრეტული პროფესორის ნაცვლად, ლექციის ჩატარება მისი წარმომადგენლის მიერ, რაც კატეგორიულად მიუღებელია და ამით ირღვევა თსუ-ში ლექცია-სემინარების ჩატარების წესი.

პროფესორმა, გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს აცნობა რომ ზემოთაღნიშნულის გამეორების შემთხვევაში გატარდება უმკაცრესი ზომები, კანონმდებლობის მოთხოვნის სრული დაცვით.

აზრი არავის გამოუთქვამს.

დაადგინეს: ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარე,დეკანი, პროფესორი — გიორგი ღაღანიძე

მდივანი,ასოცირებული პროფესორი — მარიწა მაისურაძე